F 343
1998

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიანდაგ

№6 ნოემბერ-დეკემბერი 1998 წელი

ემაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

ჩვენო პატარა მეგობრებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი წლის წინ სიხარულით გაუწყეთ, რომ საუკუნეს მიახლოებულმა ჟურნალმა პირველად დატოვა საკუთარი ქვეყნის საზღვრები, რათა უცხოეთიდან კიდევ უფრო გამშვენიერებული დაბრუნებოდა! მართლაც, ამ ხნის განმავლობაში ჟურნალი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ურიგდებოდა ხელისმომწერებს!

ახლა კიდევ უფრო დიდი სიხარულით გვინდა გამცნოთ, რომ ამ ნომრიდან ჟურნალი კვლავ ჩვენთან, საქართველოში დაიბეჭდება და სხვა ქვეყნებში გამოცემულ ჟურნალებს ტოლს არ დაუდებს!

ძვირფასო მკითხველო! მალე დადგება დრო, უკეთეს საქართველოში რომ იცხოვრებთ! ამის იმედს ჟურნალი „დილა" იძლევა. დახედეთ, კვლავ რა ლამაზად გამოიცა იგი საქართველოში!

ვანო ჩხიკვაძე

საახალწლო ინტერვიუ შვილებთან

- ახალი წელი შემოვა ვისთვის?
- ჩემთვის და
ჩემი ძმისთვის!
- ნეტავ ვიცოდე,
ვისთვის აცხობენ,
უგემრიელეს ბისკვიტს?
უკვირს ვანიკოს:
- რადა თქმა უნდა,
ჩემთვის და ჩემი ძმისთვის!
- ან ეს ნაძვის ხე,
ასე კოჰწია,
ვისთვის დაიწყებს ციმციმს?
ჰასუხად ლექსომ:
- კითხვა რად გინდა,
ჩემთვის და ჩემი ძმისთვის!
- ახლა მითხარით,
დამდეგ წელიწადს,
ვის მიულოცავთ კიდევ?
- ყველას, სულ ყველას,
ბიჭებს, გოგონებს,
ჰატარებსა და დიდებს!..
შენც მოგილოცავთ,
დათუნიავ და კუდმშვენიერო ციყვო,
ეს წელიწადი
ბევრი თაფლის და თხილის მომტანიც იყოს!

ირინე უშვერიძე

ნაძვის ხე

საახალწლო მზადება აქვთ
გიორგის და თეას.
ბურთულები შეიძინეს
უკვე ორი დღეა.
გიორგიმ თქვა: - ნაძვი მინდა,
თეამ ხელი წაჰკრა, -
რისი ნაძვი? - ჩონჩხად იქცა
ბიჭვინთა თუ გაგრა...
ერთი ძირიც არ მოჭრან,
დე, იხარონ ნაძვებმა.
ხელოვნური ნაძვის ხით
უნდა შეეძლოთ გაძღება.

მინაწერი:

- წელს ყველაფერს, -
მითხრა ბოლოს
ლექსომ, - იცი რა სჯობს?
საქართველომ
ცუდ ბიჭებთან
აღარ ითამაშოს!

მხატვარი **ვაჟა ჟურხული**

ეკლესია - ღვთის სახლი

ნანა ჩარკვიანი

სინანულისა და აღსარების შესახებ

დღევანდელი საუბარი დავიწყოთ ცოტა უცნაური შეკითხვით. თითოეული თქვენგანი იცნობს უამრავ ადამიანს, მშობლებიდან დაწყებული, სკოლის დარაჯით დამთავრებული, მაგრამ ვინ იცნობს საკუთარ თავს? — როგორ თუ ვინ? განა შეიძლება ვინმე არ იცნობდეს საკუთარ თავს? — იკითხავ, ალბათ, — საკუთარი თავის ცნობას ხომ არც გამრავლების ტაბულის ცოდნა სჭირდება და არც ქვეშმიწერით გამოკლება?

იქნებ სოფელში, აგარაკზე ან ლაშქრობისას, ღამით ვარსკვლავიანი ცის ქვეშ მდგარს გაგჩენია გრძნობა, რომ ეს ცა, ეს სამყარო მთლიანად უზარმაზარია, შენ თვითონ კი ძალიან პატარა, მაგრამ თან — ძალიან მნიშვნელოვანი არსება ხარ. სწორედ ამ დროს, შეიძლება დაგბადებოდა კითხვები: რამოდენაა ეს სამყარო, ვინ არის ღმერთი, რომელმაც მომცა სიცოცხლე? ვინ ვარ მე? ისიც შეიძლება მთელი ცხოვრება ისე გაატაროს კაცმა, რომ ასეთი კითხვები არასოდეს გაუჩნდეს. ეს ძალიან სამწუხარო იქნებოდა, იმიტომ რომ ასეთი ადამიანი მიემსგავსებოდა ცხოველს, რომელსაც არასოდეს უჩნდება მსგავსი კითხვები. მხოლოდ ადამიანებს უჩნდებათ ასეთი კითხვები, რადგან ადამიანი შექმნა ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად, მხოლოდ ადამიანს აქვს უკვდავი სული, მხოლოდ მას შეუძლია ჩაწვდეს სამყაროს საიდუმლოებებს, უყვარდეს არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრები და მეგობრები, არამედ პატივს სცემდეს უცნობ ადამიანებსაც კი; წერდეს მუსიკას ან ლექსებს, იყოს ღმერთის მადლიერი. ყველა ამ თვისებით ჩვენ განვსხვავდებით ცხოველებისაგან და ვემსგავსებით ღმერთს. ამ თვისებებს ერთად ღირსებები ეწოდება. ყოველ ადამიანს თავისი, განსხვავებული ღირსებებიც აქვს. მაგალითად, ზოგი სხვაზე მეტად დამთმენია, ზოგი უფრო გაბედული და ა.შ.

თითოეულ ჩვენგანს ძალიან მოსწონს საკუთარ ღირსებებზე საუბარი, მაგრამ ძალიან ცოტას შეუძლია აღიაროს საკუთარი ნაკლი, შეცდომები, უარყოფითი თვისებები. არადა, უარყოფითი თვისებები ყველას გვაქვს. ერთადერთი უნაკლო ე.ი. სრულყოფილი არსება, არის ღმერთი. საკუთარი შეცდომისა ან დანაშაულის აღიარებას დიდი ვაჟკაცობა, დიდი ძალა სჭირდება, მხოლოდ ასე შეიძლება გახდე უკეთესი, ვიდრე ხარ, გაამრავლო, ე.ი. გააბევრო ის სიკეთე, რაც ღმერთმა მოგანიჭა. როდესაც რაიმე ფუჭდება, ან ვინმე ნაწყენი რჩება, დანაშაული სხვას კი არ უნდა გადავაბრალოთ, არამედ ჩვენს თავს ვკითხოთ — იქნებ ეს ჩემი ბრალია? რა შემეძლო გამეკეთებინა, რომ ასე არ მომხდარიყო?

პირველმა ადამიანებმა — ადამმა და ევამ ყველაზე უარესი გზა აირჩიეს — სხვისი დადანაშაულება. მცნების დარღვევის შემდეგ ღმერთმა მოინდომა მათი დახმარება. ღმერთმა ადამს ჰკითხა: — „ადამ, სადა ხარ?“ ეს ნიშნავდა — ადამ, რა მდგომარეობაში ხარ, რა დაგემართა? — ადამს რომ ეღიარებინა საკუთარი დანაშაული, ის გადაურჩებოდა ცოდვის საშინელ შედეგს — სიკვდილს, მაგრამ მან დაადანაშაულა ერთდროულად მისთვის ყველაზე ახლობელი არსებები — ღმერთი და საკუთარი ცოლი — ევა. „დედაკაცმა, რომელიც შენ მომეცი, მაჭამა ხის ნაყოფიო“ — უპასუხა ადამმა ღმერთს. ევამ გველს გადააბრალა — გველმა მაცდუნაო. რადგან ჩვენ ყველანი ადამის და ევას შთამომავლები ვართ, მათ შეცდომას ჩვენც ვიმეორებთ, მაგრამ თქვენ უკვე იცით, რომ ქრისტე არის ახალი ადამი, ის გვასწავლის, რომ ჩვენი დანაშაული სხვას კი არ გადავაბრალოთ, არამედ ჩვენს თავში ვეძებოთ მიზეზები, ჩვენს თავს დავუსვათ კითხვები, ერთი სიტყვით, უკეთესად გავიცნოთ თავი, რომ საკუთარ თავზე არ გვქონდეს მცდარი ე.ი. არასწორი წარმოდგენა.

ქრისტე, ეკლესია გვასწავლის, რომ საკუთარი თავის გაცნობისა და გამოსწორების ყველაზე კარგი საშუალებაა სინანული. თუ შენ გულწრფელად ნანობ საკუთარ საქციელს, ეცდები, იგივე აღარ გაიმეორო. ქრისტიანი მუდამ ერიდება არა მხოლოდ ცუდ საქციელს, არამედ ცუდ, ბოროტ სიტყვასაც; ცდილობს ბოროტება გულში და ფიქრშიც კი არ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაივლოს, ბოროტებით არა მხოლოდ სხვას ავნებ, არამედ საკუთარ თავსაც დაიზიანებ — ბოროტი სურვილები, ცოდვები როგორც შხამი, ისე წამლავს ადამიანის სულს, უფუჭებს კაცს გუნებას და ავადმყოფობასაც კი იწვევს.

წარმოიდგინეთ მდინარე, რომლის წყალსაც შხამი გაერია. ის ხომ იმ ბალახებს, ყვავილებსა და ხეებსაც დააჭკნობს, რომლებსაც მისი წყლით მორწყავენ; იმასაც მოწამლავს, ვინც მის წყალს დალევს და იმ თევზებსა თუ წყალმცენარეებსაც დაღუპავს, რომლებიც ამ მდინარეში ცოცხლობენ. ასევე არიან ადამიანებიც. ერთის ცოდვები ცუდად მოქმედებს გარშემო მყოფ ადამიანებზე (გულს ტკენს მათ, მრისხანებაში აგდებს ან სხვა), და სხვაშიც კლავს ღვთისაგან მოცემულ ნიჭებსა და უნარებს. ასეთი ადამიანები ჰგვანან შხამიან მდინარეს, რომელიც გარშემოც და თავის თავშიც კლავს სიცოცხლეს. ყველა ადამიანს ემუქრება ცოდვის საფრთხე, მაგრამ მისგან თავის დასაღწევად ეკლესიაში არსებობს აღსარების წესი, ეს ნიშნავს, რომ ეკლესიური ადამიანები გამუდმებით აკვირდებიან ხაკუთარ თავს, და როცა რაიმე ცოდვას შენიშნავენ, მოძღვრის წინაშე აღიარებენ მას. მოძღვარი ჩვეულებრივი ადამიანიც არის და ამავე დროს, ღმერთის მადლის მატარებელიც. ამიტომ მოძღვართან აღსარებისას ჩვენს ცოდვებს ადამიანის წინაშეც ვინანიებთ და ღმერთის წინაშეც. ცოდვის აღმოჩენაში ჩვენ გვეხმარება სინდისი, ანუ ჩვენი შინაგანი ხმა, ღმერთის ხმა ჩვენში, რომელიც ყოველთვის გვეუბნება, რა ჩავიდინეთ არასწორად.

ჩვენს სინანულს და ღვთის მადლს შეუძლია გაგვწმიდოს ცოდვის შხამისაგან და დაგვიცვას მისი მომაკვდინებელი ძალისაგან.

მაშ, მოდით, ყური მივუგდოთ სინდისის ხმას, მოდით, გაბედულად შევხედოთ ჩვენს ნაკლსა თუ სისუსტეებს, ვაღიაროთ ისინი, და განვიწმიდოთ მათგან, რადგან იესო ქრისტე მოგვიწოდებს — „იყავით სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“.

ღმერთი შეგვეწიოს. ამინ.

გოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოსი **თადეოზი**

წმინდა დავით აღმაშენებელს

შენ ზეციური საქართველოს დიდო ნათელო,
თხემით ტერფამდე სხივთმფრქვეველო, მშვიდო ქართველო,
შენ მოკამკამე, მოელვარე მზის მუზარადით,
ცის სამკაულო, დედამიწის გმირო ლომგულო.
შენი მახვილი უხილავი ჩაეც ორგულებს
შეზარე კვალად, გოლიათებრ ვითარ ზარავდი,
მამულის მტერი დააჩოქე შენს ცათა ქვეშე.
იავარჰყავი გარეწარი და მოთარეშე.
შენ დაგვიფარე, ვით გვფარავდი აწ და მარადის...

მხატვარი **თეა ინწკირველი**

მაყვალა მრევლიშვილი

5 წელია აღარ არის ქართული საბავშვო პოეზიის დიდი დედა მაყვალა მრევლიშვილი. მისი ტკბილი, კეთილი, სიყვარულიანი სიტყვა კი ისევ ახალისებს, ასწავლის, ზრდის ჩვენს პატარებს. „შენი გულისა“ — ასეთი მოფერება იცოდა ქალბატონმა მაყვალამ. „შენი გულისა“ — ვუმეორებთ ალერსს თითოეულ თქვენგანს და გთავაზობთ დიდი პოეტის სამ პატარა ლექსს.

დილა მშვიდობისა

- ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა?
- შენ გიგალობ, პატარავ, -
დილა მშვიდობისა!
- მზეო, მზეო, ცხრათვალა,
ვის უცინი, ვისა?
- გაიღვიძე, პატარავ,
დილა მშვიდობისა!
- ბაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
- შენთვის მინდა, პატარავ,
აბა დამაკვირდი!
- მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან ჰირსა,
ყველას მივესალმები:
- დილა მშვიდობისა!

***

- გამოცანას მოგახსენებთ,
შენ ხარ ჩემი ბატონი და...
მთელი ჯარი გამოვიდა
ჩვენი ინკუბატორიდან:
სულ ყვითელი ქულაჯებით,
სულ ყვითელი ულვაშებით.
უთვალავი ჯარი არის,
ფეხმარდი და ჯანიანი;
დავაპურებ, დავაყუჩებ,
კვლავ წივიან: - წია-წია!
უსაშველო სტუმრებია,
დიდმა ჯაფამ მომიწია...
თქვენ თუ ამას გამოიცნობთ,
მთელი ფერმა მომიცია!

-ვიცით, ვიცით, ვინც არის,
უკვე გამოვიცანით!

პირმშო

ერთი დედას და მამას რაღაო?
ერთიც მამას და პაპას საკუთრად?!
ბებოს მკლავებში ჩვილი ნანაობს, -
პირველი ყველამ ბებოს აკუთვნა.
ბიძა აიყვანს ძმისწულს და თვალწინ
იმის მომდევნოს ხედავს ბუთხუზებს,
- ეს ჩემი იყოს და ამას აწი
და-ძმა სჭირია! - ჩაიბუტბუტებს.
ქვეყნის ფასია ეს მოლეული,
ხელიდან ხელში გადამავალი
და მშობლებს ვინმე თეთრმორეული
ეტყვის: ეს ერთი და სხვა მრავალი!

მხატვარი **ნანა სანაია**

უფლის სახედარი

(საშობაო მოთხრობა)

გარეთ რომ ზამთრის გრძელი ღამეები დადგებოდა და მე შიგნით, მოგუგუნე ღუმელის შორიახლოს ვეთამაშებოდი ჩემს საკუთარ, განუყრელ ფისოს, ერთი ჯადოსნური ღამის მოლოდინში ვიყავი ერთთავად და როდის მოვა, როდის მოვა-მეთქი, აღარ ვასვენებდი ხოლმე ქსოვაში გართულ ანეტა ბებიას.

მოვა, არხეინად იყავი შენო, – მაიმედებდა.

...და ერთხელაც მკითხავდა – მე რომ ჯვარზე გაკრულ ღმერთზე გიყვებოდი, ხომ გახსოვსო?

უცნაური სიხარულის თრთოლვა ამიტანდა და ვეტყოდი – როგორ არ მახსოვს-მეთქი!

სწორედ ამ ღამეს დაიბადაო, – დასძენდა ჩემი თეთრთმიანი ბებია, – წესით და რიგით ახლა ეკლესიაში უნდა ვანთებდეთ სანთელს, მაგრამ არა უშავს, აგერ ამ ჯვარცმასთან ავანთებ, თან იმასაც გასწავლი, უფალს როგორ უნდა ელაპარაკოო, და „მამაო ჩვენოს“ მათქმევინებდა.

მერმე კვლავ ღუმელთან ჩამოჯდებოდა, ქსოვას განაგრძობდა და მეტყოდა – ქრისტეშობა დღეს ანგელოზები მოდიან ქვეყნიერებაზე, ყველა ოჯახს მიაკითხავენო.

– საიდან მოდიან-მეთქი, ნეტავი?

– ციდან მოფრინავენო.

– როგორები არიან-მეთქი?

– ჩვეულებრივებიო.

– აბა, როგორ დაფრინავენ?!

– უფლის ნებით. მოვლენ, დალოცავენ ადამიანებს და წავლენო.

შემდეგ დასაძინებლად მომამზადებდა ბებია. მინდოდა, ჩემს ლოგინში დაეძინა კატას, მაგრამ არ მანებებდა მოხუცი.

მაშინ ის ამბავი მომიყევი, სახედრები რომ არ ტირიან; მაინც არ უნდა დავიძინო ჯერ, ანგელოზები უნდა ვნახო-მეთქი, ავხირდებოდი.

სახედარი, საერთოდ, ძალიან ამტანია. მთელი სიცოცხლე შრომობს დაუღალავად, – დაიწყებდა თხრობას ბებია და ისე მოულოდნელად აღმოვჩნდებოდი იმ მშვენიერი ღამის სამყაროში, ვერაფერს ვიგებდი. და აი, ახლა, მეოთხედი საუკუნის მერმე, ლამისაა შუბლი ვურტყა მაგიდას, მაგრამ ვერაფრით დამიწერია ისე, როგორც მან მიამბო. მაინც უნდა ვცადო, მეტი რა გზაა:

წყნარი ღამე იყო.

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თავისით განათებულ ანგელოზებს გაევსოთ და იდგა რაღაცნაირად ნათელი წყვდიადი – სიკეთით, სინაზითა და სიყვარულით გაჯერებული.

ერთი ბოსელი ჭრაქის შუქით იყო განათებული. იქ ლამაზი, ძალიან მშვენიერი ქალი მშობიარობდა და გაოცებული ისმენდნენ იმის შეკივლებებს პირიდან თივაგამოჩრილი ძროხები...

– როგორი ძროხები, ბებია?

ძროხები ბალახს ახრაშუნებდნენ და იმ ქალის კივილზე პირებს აჩერებდნენ, მიხვდიო?

რა სასაცილო ძროხები იყვნენ, ჰიიჰ!

ხოლო ის სახედარი, აქამდე რომ მოიყვანა ფეხმძიმე ქალი, ისე იყო დაბმული, პირდაპირ მშობიარეს დაჰყურებდა დიდი, სევდიანი თვალებით და შუბლზე თეთრი ბალანი ჰქონდა, პაპაშენის გრძელყურასავითო.

გასაგები იყო – მერე, ბებია, მერე?

ბალახი კი დაუყარა პატრონმა, მაგრამ არ ჭამდა. უცქერდა, უცქერდა გაწამებულ ქალს, თითქოსდა იმისი ტკივილების შემსუბუქება უნდოდა.

და იქვე შეშფოთებული კეთილი კაცი ტრიალებდა, მაგრამ ვერაფრით ეხმარებოდა მეუღლეს...

მერმე, იმ მშვენიერმა ქალმა რომ იმშობიარა, იქაური მწყემსები მოვიდნენ თაყვანსაცემად. იმ კეთილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა, სტუმართა თხოვნით, ჭრაქით სახე გაუნათა ახალშობილ, ნათელგადამდინარე ყრმას და აი, სწორედ მაშინ გამოჩნდა სახედრის აწყლიანებული თვალები – თითქოსდა სიხარულის ცრემლით ტირისო, ასე მოეჩვენა ერთ მწყემსთაგანს; არადა, თითქოს კი არა, მართლა მოუგორავდა ცრემლი თვალებიდან და ქვემოთ, უკვე მიწაში ჩატკეპნილ, გამხმარ ბალახს ასველებდა.

დიახ, ტიროდა, სულ ცერის სიმსხო ცრემლებს აღვარღვარებდა ყველაფრის ამტანი, მთელი სიცოცხლე მშრომელი, გრძელყურა, ყროყინა, შუბლზე თეთრნიშნიანი – მაინც სხვანაირი – უცნაურად გახარებული უფლის სახედარი...

...და ღამით ვხედავდი თავისით განათებულ უფლის ანგელოზს, რომელიც იმ მტირალა სახედარზე იჯდა და ჩემკენ მოდიოდა დასალოცად, თანაც ძილში ჩამესმოდა კატის კრუტუნი – ეს ჩემი ფისო შემოიპარებოდა ხოლმე თბილ ლოგინში.

დილით კი ბებიას შეკივლება მაღვიძებდა – აცხა, შე საძაგელო! – კატას აგდებდა ჩემი საწოლიდან.

მე უკვე ვწუწუნებდი – დამძინებია-მეთქი.

იყოო, – მეტყოდა მოხუცი, – თავზე ხელი გადაგისვა და წავიდაო...

რამდენიმე დღის სიხარულად მყოფნიდა თავისით განათებული ანგელოზის ხელგადანასვამი თავი. პირს აღარ ვიბანდი, ხუჭუჭა თმას არ ვივარცხნიდი კაი ხანს, – იმის ხელმონაკიდი გამიქრება-მეთქი! თანაც, რაღა დასამალია და, პაპაჩემის სახედარს ვუტრიალებდი შორიახლოს, ახლოს მისვლის მეშინოდა – მარიგებდნენ ხოლმე: მოერიდე, ტლინკი არ მოგარტყასო! – ნეტავი ესეც თუ ააღვარღვარებდა ცერის სიმსხო ცრემლებს, მშობიარე ღვთისმშობელი მარიამი და იმისი შვილი რომ ენახა-მეთქი, – ხშირად მიფიქრია.

ლევან ბაბუხადია

ხატიას დიალოგი

- მამა, მამა, მამიკო,
რატომ მქვია ხატია?
- იმიტომ რომ დედიკოს
სალოცავი ხატი ხარ.

- შენ თუ მეტუკი, დედიკო,
რატომ მქვია ხატია?
- იმიტომ რომ მამიკოს
გულში ფრესკად ხატიხარ.

-ვერც შენ გამოიცანი,
მამაც კარგი ბატია, -
კარგი ხატვა რომ ვიცი,
მიტომ მქვია ხატია.

მხატვარი ზაურ დეისაძე

ქეთევან ჭილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბილა

ერთ მშვენიერ დღეს წიამაც გამოტეხა ნისკარტით თავისი სამყოფელი და... იხილა ქვეყანა ნათელი...

საბუდარი აქოთქოთდა, კრუხმა ბიბილამ ფრთები შეარხია და თავისი ნაბოლარა წიწილაც ბუმბულში ჩაათბუნა.

— იქით გაიწი, ნუ მიმჭეჭყე! — ჩაუნისკარტა წიას დაიკომ.

ჩანისკარტება ეგრე არ უნდაო, კინაღამ თვალი ამოუკორტნა წიამ.

ბიბილა აიფოფრა, თვალები დააბრიალა და ერთი ისეთი დაიკოტკოტა, საბუდარი გაისუსა. წია, ვითომ მე არაფერი დამიშავებიაო, დედაკრუხს ააცოცდა და ზედ ბიბილოზე წამოსკუპდა, ვარდივით რომ უთრთოდა ქოჩორზე.

— არ ჩამოვარდე, ნიავმა არ დაგკრას, — შფოთავდა კრუხი და თავს ფრთხილად აქნევდა, რომ ციმციმ გადმოესვა შვილი.

როდის-როდის ჩაცხრა კრუხი. არ ეპიტნავა წიას წინამასწარობა. ჩაკორტნა კიდეც ჭკუის სასწავლებლად. წია გაინაბა, ვითომც აქ არაფერიო, გულში კი დაიქადნა — ჯერ დამაცათო!

მართლაც წიას ოინებს ვინ მოთვლის, თავისი ურჩობით ხიფათსაც ბევრჯერ გადაურჩა, მაგრამ აი, ახლახან რაც გადახდა, იმას კი მოგიყვებით.

იმ დღეს, წვიმამ გადაიღო თუ არა, აიხირა — სუფთა ჰაერზე გასეირნება მინდაო. დედაკრუხმა დაუშალა, ეზო ატალახებულია, ფეხი არ მოიცვალოო. და-ძმებმაც სთხოვეს, — დედას დაუჯერეო. ვინ უგდო ყური? შემართა ფრთები და ისკუპა: ღობისძირში ჩიტპურას მარცვლებს გაჰკრა-გამოჰკრა ნისკარტი.

კოო-კოკოკოკო, კოო-კოკოკოკო — მისძახოდა კრუხი, წიამ კი გასწია და გაუტია. გული მიუხაროდა, გუბეებში აჭყაპუნებდა დეზებს. ბოლოს ტალახში ჩაეფლო და ისე დაუმძიმდა ფეხები, ძვრა ვეღარ უყო.

ნეტავ, რა ამბავია ჩემს თავსო? — შეფიქრიანდა წია, იკადრა შინისაკენ შემობრუნება, მაგრამ ნაბიჯიც ვეღარ გადმოდგა. იძალა, იძალა და როგორც იქნა დააღწია თავი, მაგრამ კოპწია დეზების ნაცვლად ტალახის გორგოლებზე იდგა...

წიას რაკი შეაგვიანდა, ბიბილამ საბუდარი წამოშალა მოსაძებნად.

„როგორც წავიდა, ისე მოვიდესო“, „უნდა ამოვტლაპოთო?“ — აბუზღუნდნენ წიები.

როგორ თუ, დაიზარეთო? — გაცხარდა კრუხი. — მაშ, რისთვისა ხართ და-ძმანი, თუ ერთმანეთისათვის არ გაირჯებით, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს არ გაიზიარებთო? კუტ! კუტ! — გადაუბრიალა თვალები შვილებს და წინ გაილალა.

— მოდის, მოდის! — აწიწინდნენ ფრთოსნები წიას დანახვაზე.

— ბოტები ვინ გაჩუქა?

— თუ თხილამურებია? — ქირქილებდნენ წიები.

წია უმწეოდ შეჰყურებდა.

— აბა, შვილებო, მოიმარჯვეთ ნისკარტები, სანამ ზედ არ შეხმობია და დეზები მთელი აქვს, მოვაცილოთ ტალახი ამ სანაცილეს! — თქვა კრუხმა და დაჰკრა ნისკარტი.

— „ფრთხილად, მტკივა, ვაი, ვუი“, — წივ-

წივებდა წია.

„ახია შენზე, ეგრე მოგიხდება“ — ბუტბუტებდნენ წიები, მაგრამ გულით კი არა, ნიშნს უგებდნენ.

დაბინდდა. ბიბილა საბუდარში ჩაჯდა და მიყუჟულ შვილებს ფრთები გადააფარა. წია ყელთან მიუცოცდა — მაპატიეო, — შესწიწინებდა, ბიბილამ მიუგურგურა წიას და ყველას გასაგონად ჩაიკუტკუტა: ჩემო წიებო, წიწილები აღარა ხართ, ვარიაობის ხანა დაგიდგათ. მეტი ჭკუა გმართებთ. წიავ, ურჩობა და თავნებობა ისევ შენ შემოგიბრუნდება საზიანოდ. დაიმახსოვრე. ცოტაც და შენი დაიკოები წრიაპები გახდებიან, შენ და შენი ძმიკოები — ჩიორები! მალე ყვინჩილობასაც მიაღწევთ. ხმაში ხრინწი გაგერევათ, დაბერები ანდებით, თქვენს გზას დაადგებით, ასეა ნუთისოფელი მოწყობილიო. წრიაპები მოკრუხდებიან და შთამომავლობას გაამრავლებენ, შენ და შენი ძმები კი კარმიდამოს დამამშვენებელი მამლები დადგებით! აბა, თქვენ იცით, ომახიანი „ყიყლიყოთი“ როგორ აახმიანებთ გარემოს და დოვლათისათვის გასარჯელად მოუხმობთ მაშვრალთ.

თანხმობის წივწივით თვლემდა საბუდარი. თენდებოდა მშვიდობიანი დილა!

მხატვარი **დარეჯან ჭილაშვილი**

რომაული ციფრები

რომანოზ დანელია

ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაჩნდა რომის სახელმწიფო; რომი თავდაპირველად იტალიის ქალაქთა კავშირის მეთაური იყო, შემდეგ კი იქცა უზარმაზარი იმპერიის დედაქალაქად. რომის იმპერიაში შედიოდა ხმელთაშუა ზღვის მთელი სანაპირო, ევროპის ზოგიერთი ქვეყანა და შავი ზღვის სანაპიროს ნაწილი. ბერძნებმა და რომაელებმა შექმნეს მაღალი კულტურა, რომელიც ევროპელი ხალხების განვითარების საფუძველი გახდა.

რომაელებს რიცხვების აღსანიშნავად სულ შვიდი სიმბოლო ჰქონდათ. ესენია: I — ერთი; V — ხუთი; X — ათი; L — ორმოცდაათი; C — ასი; D — ხუთასი; M — ათასი. დანარჩენი რიცხვები ამ სიმბოლოების მიმატება-გამოკლების მეშვეობით მიიღება. მაგალითად, სიმბოლო I იხმარება ორის და სამის (II, III-ის), აგრეთვე ხუთზე (ან ათზე) ერთით ნაკლების (IV — ოთხი — IX — ცხრა), ან ხუთზე და ასევე ათზე მეტის (VI — ექვსი, VII — შვიდი, VIII — რვა) XI, XII, XIII — მისაღებად და ასე შემდეგ. ასე რომ, ორმოცდათერთმეტი იქნება LI, ას ერთი — CI, ხუთას ოცდახუთი — DXXV და ა.შ.

რომაულ ციფრებს დღესაც ხშირად ვიყენებთ. მაგალითად, წიგნის თავების დასანომრად (I თავი, II თავი და ა.შ.) ან თარიღების აღსანიშნავად. ვთქვათ, 25 ივნისი იქნება 25.VI, ანუ მეექვსე თვე. ვწერთ აგრეთვე XV — მეთხუთმეტე, XX — მეოცე საუკუნე.

თავსატეხები

ნოდარ ნიჟარაძე

ციფრები 1-დან 9-მდე ისე უნდა მოათავსოთ სურათზე მოცემული ფიგურის რგოლებში (ერთი ცენტრში, დანარჩენი — დიამეტრის ბოლოებზე), რომ მწკრივის სამ-სამი ციფრის ჯამი 15-ს უდრიდეს.



მოცემული სამკუთხედის რგოლებში ისე დაალაგეთ ყველა ციფრი 1-დან 9-მდე, რომ მათი ჯამი თითოეულ გვერდზე 20-ს შეადგენდეს.



მოცემული სამკუთხედის რგოლებში ისე დაალაგეთ ყველა ციფრი. რომ მათი ჯამი თითოეულ გვერდზე 17-ს უდრიდეს.

მხატვარი: **თეა მიქაია**

მთავარეპისკოპოსი თადეოზი

ლელა

როცა ციდან დამე
დაეშვება ნელა,
აცურდება ცაზე
მთვარე ნესვის ხელა.
ზღაპრისათვის ზაპას
მიაშურებს ლელა;
ზაპაც ლამაზ ზღაპარს
ამოარჩევს ხელად.
და ეურს უგდებს კრძალვით,
ლელა გედისუელა.
ხეებს მთვარე მცხრალი
ვერცხლის ეჟვნებს აბამს,
ისმენს ლელა ქალი
გასაოცარ ამბავს.
ისმენს, უკვირს გოგოს
ხასიათი მათი.
თუ მელიამ როგორ
მოატეუა დათვი.
ანდა შედამების
უცნაური შიშით
რას ფიქრობენ ღამით
ეკალეილები ძილში!..
... ისმენს როგორც ბრძენი,
განა ეცინება
და როს ზღაპრის მერე
ტკბილად ეძინება, -
კვლავ ტოლებში „დარბის“, -
ხედავს სიზმარს ფერად,
სიხარული ამხელს -
ცინქნა გულის მგერას.
და უცინის სანე
ბრძენიერ ლელას.

ნინო ლონდარიძე

ქოლგები

- ბები, ბები, წვიმის დროს
სად არიან ჩიტები?
- ხეებს ეფარებიან,
ჩემო კარგო, ვერ ხედები?
- განა წვიმის ცელქ წვეთებს
აკავებენ ტოტები?
ფიქრობ, მაინც სჭირდებათ
მათ ჰატარა ქოლგები.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ვიქტორ ჯაფიაშვილი

რიდის დაიწყება 21-ე საუკუნე?

ნინო და უჩა ტყუპები არიან, მესამე კლასში სწავლობენ და ძალიანაც მეგობრობენ. თუმცა, რა დასამალია, შეხლა-შემოხლაც მოსდით, იმაზეც კი დაობენ ხოლმე, არა მე ვარ ჩვენში უფროსი და არა — მეო.

ერთხელაც დარეჯან ბებოს შვილიშვილების ცხარე წაკინკლავების ხმა შემოესმა და მაშინვე მათთან გაჩნდა: რაო, ჩემო საყვარელო მარჩბივებო, ეს რა კირწი-კორწა გაგიმართავთ, რაზე დაობთო.

ბებოს ძალიან უყვარს სიტყვა მარჩბივი, რომელიც ძველქართულად ტყუპებს ნიშნავს. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ ჰქვია ერთ-ერთ თანავარსკვლავედს ძველებური „მარჩბივი“ და არა „ტყუპები“.

ბავშვები დარეჯან ბებოს მისცვივდნენ, შენ განსაჯე, ბებო, რომელი ვართ მართალიო. უჩა გაზეთს უჩვენებდა, ნინო — ჟურნალს, დავა კი იმაზე ჰქონდათ, თუ როდის დაიწყება 21-ე საუკუნე — 2000 წელს, როგორც გაზეთში ეწერა, თუ 2001 წელს — როგორც ჟურნალი იუწყებოდა.

ბებომ მოუსმინა ბავშვებს, მერე კი უთხრა: ხომ გახსოვთ, რომ თქვენი კლასელის, სალომეს პაპა ასტრონომია. იმას ჰკითხეთ და ალბათ ყველაზე უკეთ ის გეტყვით, რომელი ხართ მართალი და რატომო. ბავშვებს ეს აზრი მოეწონათ და მაშინვე სალომესთან გაეშურნენ.

სალომეს ძალიან გაეხარდა კლასის ამხანაგების სტუმრობა. იღბლად შიო პაპაც შინ იყო, და როგორც კი სალომემ ტყუპების მოსვლის მიზეზი შეიტყო, პაპასთან შეუძღვა. შიო პაპა ალერსიანად შეეგება და-ძმას და აი, რა უამბო:

ადამიანებს ყოველდღიურ ცხოვრებასა და საისტორიო გამოკვლევებში გამოსაყენებლად ესაჭიროებათ დროის ხანგრძლივ მონაკვეთებად დანაწილება და აღრიცხვა, რასაც კალენდარი ეწოდება. დროის ერთ-ერთი მონაკვეთის — წელიწადის შესახებ, ალბათ გახსოვთ, 1996 წლის 29 თებერვალს, სალომეს დაბადების დღეს მოსულებს გესაუბრეთ.*

საუკუნე კი წელთაღრიცხვის უფრო მსხვილი ერთეულია და ას წელიწადს მოიცავს. სხვადასხვა ქვეყანაში წლების აღრიცხვა სხვადასხვაგვარად მოხდა. ზოგან წელთაღრიცხვის დაწყება ისტორიულ მოვლენას (ვთქვათ, რომელიმე მეფის მოღვაწეობას) დაუკავშირეს, ზოგან კი — ლეგენდარულ ან რელიგიურ ამბებს (სამყაროს შექმნას, ქრისტეს დაბადებას და სხვა). საქართველოში მიღებულია მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაწესებული წელთაღრიცხვა, რომელიც ქრისტეს დაბადებიდან ითვლება. ჰოდა, აი, ქრისტეს დაბადებიდან 1997 წელია გასული და მიმდინარეობს 1998-ე წელიწადი. ეს წლები დაჯგუფებულია საუკუნეებად, ანუ ასწლეულებად. ახლა ისიც ვთქვათ, რომ თანამედროვე წელთაღრიცხვაში ნულოვანი წელი არ არსებობს.

თვალსაჩინოებისათვის შიო პაპამ ორი უჯრედებიანი დიაგრამა დაუხატა ბავშვებს დაფაზე და უჯრედებში ციფრები ჩაწერა. ერთ დიაგრამას „პირველი საუკუნე“ უწოდა, მეორეს კი — „მეოცე საუკუნე“.

დიაგრამებიდან ბავშვებმა ნათლად დაინახეს, რომ პირველი ასწლეული, ანუ პირველი საუკუნე შეიცავდა წლებს 1-დან 100-მდე ჩათვლით, ხოლო მეოცე საუკუნე — წლებს 1901-დან 2000-მდე ჩათვლით.

ამგვარად, დაასკვნა შიო პაპამ, მე-20 საუკუნის უკანასკნელი წელიწადი იქნება 2000 წელი, 21-ე საუკუნე კი დაიწყება 2001 წლის 1 იანვრის 00 საათსა და 00 წუთზე. — მართლაც, — შესძახეს ბავშვებმა — „ხომ უნდა დამთავრდეს მთელი 2000 წელი, სანამ დაიწყება შემდგომი — 2001 წელი!“

ნინომ და უჩამ დიდი მადლობა გადაუხადეს შიო პაპას და შინისაკენ წამოვიდნენ. ასე გაიმარჯვა ნინომ.

უჩა კი, რაკი ასეთ საინტერესო საკითხში გაერკვა, სულაც არ დარჩენილა გულნაკლული.

* ამის თაობაზე ჟურნალ „დილის“ 1996 წლის ნოემბერ-დეკემბრის ნომერში მოთხრობაც გამოქვეყნდა სათაურით „ნაკიანი წელიწადი“.

მხატვარი თეა მიქაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა ქინქლაძე

ციყვი

თუ გინახავთ ციყვი ნიყვით
რტოზე დასკუპებული?
კუდფუმფულა ონავარი
და ხტუნია ქებული,
როგორ აშრობს ზამთრისათვის
ხოკოს შემოდგომისას,
ფუღუროში სულ არა აქვს
დარდი შემოთოვისა.
უკვე ბევრი დააგროვა
თხილი, კენკრა, კაკალი,
ტყეა მისი მარჩენალი,
სახნავი და სამკალი.
ზოგჯერ დაბლა დაუცვივა
გირჩები და წიწიბო,
თავუნებიც მზად არიან
უმალ წააცემცემონ.
თუკი კვერნა შეეურება,
ხისხლის მსმელი, საზარი,
ჩვენს ბატარა ციყვუნიას
დაეცემა თავზარი,
მაგრამ უმალ ისარივით
რტოდან რტოზე გაირბენს,
ქოლგასავით გაშლის კუდს და
ხიდან ხეზეც გაიფრენს.
აი, უკვე ჩამოთოვა,
შობის ღამეც გავიდა,
მალე წელი სულ ახალი
დაიწყება თავიდან.
თბილად სძინავს ფუღუროში
ციყვუნიას ქერიალას,
აგერ, ღამემ ვარსკვლავები
ცაზე აციალა.
მაშ, ვუსურვოთ ჩვენს ბატარას,
ფერად ხიზრებს უყუროს,
ვერ მიეკნოს ყერაგ კვერნას
მისი თბილი ფუღურო.
და როდესაც გაზაფხულზე
ტყეში წავალთ ბავშვები,
ჩვენს საყვარელ ციყვუნიას
ერთად ვეთამაშებით.

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

დაკარგული ცხვირი

მოგიყვებით ერთ ამბავს,
არის გასაკვირიო,
წუხელ თოვლის ბაბუას
დაჰკარგვია ცხვირიო.
ჰოლიციამ შეიტყო,
კვალს მიაგნო, მგონია,
თურმე ცხვირი ბაბუას
სტაფილოსი ჰქონია.
ქურდბაცაცას თათები
თოვლზე ახლაც ახნია;
- ვინ ეოფილა?
- ვინა და
კურდღლის თეთრი ბაჭია!

მხატვარი თორნიკე ამბოკაძე

სახალისო გრამატიკა

ყველაზე პატარებისათვის

სალომე ოქიაძე

ზოგჯერ ეზოში სათამაშოდ ისე მიგეჩქარება, რომ ბურთი, თოჯინა თუ სახტუნაო შინ გრჩება. რას აკეთებ ასეთ დროს, სახლში ბრუნდები?
– არა მგონია, ალბათ, ქვემოდან იძახი:

და ვინც გადმოგხედავს, დავიწყებული სათამაშოს გადმოგდებას სთხოვ. შეამჩნევდი, რომ ჩასმული სიტყვები დამარცვლითაა დაბეჭდილი. რისგან შედგება მარცვლები? –

ა			ე	ბ	ი	ს	ა	გ	ა	ნ

გახსოვს, ჩვენ რომ ვთქვით, სიტყვა ასოებისგან შედგებაო, ახლა შეგვიძლია დავაზუსტოთ, რომ სიტყვა

მ						ე	ბ	ი	ს	ა	გ	ა	ნ

შედგება,

მარცვლები კი

ა			ე	ბ	ი	ს	ა	გ	ა	ნ

მოდი, ჩემი სახელი დავმარცვლოთ –

სა-ლო-მე

სამმარცვლიანი ყოფილა, ხმოვნები მოვძებნოთ – **ა, ო, ე**, ხმოვანიც სამია მასში.

ახლა შენ შენი სახელი დამარცვლე!

.....

შენს სახელშიც იმდენივე მარცვალია, რამდენი ხმოვანიცაა, არა? ასეა ყველა სხვა სიტყვაშიც. ამ მსჯელობით მე და შენ წესი აღმოვაჩინეთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ სიტყვაში იმდენი
მარცვალია,
რამდენი ხმოვანიცაა მასში.

რამდენად დაკვირვებული და მიხვედრილი ხარ, ახლა გამოჩნდება. გამოცანებს გთავაზობ, თითოეულის პასუხი დამარცვლე და გამოარკვიე, რამდენ მარცვალს შეიცავს იგი.

პასუხი:

ედედად დაბადებული, ეჭმელად გამოზრდილია,
ზათსულში ბევრი ვინატრე მისი საამო ჩრდილია.

პასუხი:

ერთ თვისზე შეკინტულია, ძედი ასტრავს თავზე,
ტყეში ითვალავს შესვლები, ეთრთ კი ნაწვიმარზე.

პასუხი:

აბა, რა მძვია სასელად, მეც ყვავილი ვარ ველისა,
მიყვარს წითელი საამოსი, ჯოსტად დაჭრა ყელისა.

პასუხი:

გარეთ ატლასი, შიგნით ათასი.

შეამჩნიე, გზადაგზა ჩვენს ნათქვამს რომ ვაზუსტებ ხოლმე?!
ახლა კიდევ ერთი რამე უნდა დავაზუსტოთ.
ბოლო გამოცანას მაშინვე გამოიცნობდი და არც დამარცვლა გაგიჭირდებოდა-

ბრო-წე-უ-ლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავუკვირდეთ მარცვლების შედგენილობას:

პირველი მარცვალი თანხმოვნებისაგან და ხმოვნისაგან შედგება, მეორე და მეოთხე მარცვლები ერთი თანხმოვნისგან და ერთი ხმოვნისგან, მესამე მარცვალი კი მარტო ხმოვნისგან.

აი, ჩვენი დაზუსტებაც –

მარცვალი ასოებისაგან ან ერთი ასოსგან შედგება და ერთი ასო ყოველთვის ხმოვანია.

გიყვარს რებუსები?

მოდი, ერთად შევადგინოთ. დამარცვლე მოცემული სიტყვები და უჯრებში ის მარცვლები ჩაწერე, რომლებსაც ცალკე აღებულს, სიტყვის მნიშვნელობა აქვთ.

ხეივანი – □□

ქვაბი – □□□

ბუნება – □□

ჭამა – □□

უჯრებში ჩაწერილ სიტყვებს თუ დახატავ, დანარჩენ მარცვლებს კი დაწერ, რებუსი გამოგივა.

აი, ასე – ივანი.

ყურადღებით წაიკითხე ეს ხალხური მოთხრობა, ერთმარცვლიან სიტყვებს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვი, ორმარცვლიანს – ორი, დანარჩენებს – კლაკნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში არ უნდა შემცდარიყავი

თაგვი ჭურში ჩავარდა. შეშინებული ამოსვლას ცდილობდა. კედლებს ებღაუჭებოდა, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა. იხრჩობოდა. ამ დროს ჭურთან კატამ გაირბინა. თაგვმა შესთხოვა: ხომ ხედავ, ვიღუპები, ღვინოში ვიხრჩობი, შენ მაინც ამომიყვანე და შემჭამეო.

კატამ კუდი ჩაუშვა, თაგვი ამოჰყვა და თავი უმალ სოროს შეაფარა. კატა მივარდა და უსაყვედურა:

გინდათ „სიტყვობანა“ ვითამაშოთ?

როგორ?

მორიგეობით ვიტყვით თითო ბგერას ისე, რომ სიტყვა გამოვიდეს.

ვიცი ეგ თამაში უნდა ეცადო, რომ სიტყვა შენზე არ დამთავრდეს.

ვიზეც სიტყვა დამთავრდება, წაგებულიც ის იქნება?

ჰო, ვიწყებ, ასო-ბგერა **გ**

ო

გ

ბურძგლამ წააგო!

ნეტავ **გოგო** –ს გარდა, სხვა სიტყვა არ არის?

თქვი **ო** რაღას ფიქრობ, ბურძგლა, წაგებული ხარ!

ასო ბგერა **რ**

ვინ არის წაგებული, ქალბატონო, ახლა გამოჩნდება!

გოგრა

წავაგე. ახლა ვინ იწყებს?



ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

ჩემს ფურცლებზე
სახალისო გრამატიკას რომ გასცნობოდი,
რებუსები რომ შეგედგინა,
ასეთი შეცდომა აღარ მოგივიდოდა!

იკითხეთ ჟურნალი „დილა“ და
ყოველთვის მოგებული იქნებით!

ორფეოსი და ევრიდიკე

(მეექვსე ნაწილი)

ორფეოსის სულშიჩამწვდომმა სიმღერამ თვით ქვესკნელის მბრძანებელი ჰადესი მოხიბლა, ცრემლი მოჰგვარა დედოფალ პერსეფონეს და სამეფოს მკაცრი დარაჯი, სამთავიანი ძაღლი კერბერიც კი დაადუმა.

1 ძველ თქმულებებში მოთხრობილ ამბებს დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე.

ასე შეიქმნა მითებიდან მომდინარე გამონათქვამები. დღესაც გაიგონებთ კერბერივით დარაჯობსო, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიღაც ქვესკნელის საზარელი გუშაგი ძაღლივით ყარაულობს რაღაცას.

შეადგინე წინადადება ამ გამონათქვამის გამოყენებით.

2 სიტყვის დამარცვლა ხომ იცი? შეგახსენებ, სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენი ხმოვანიცაა მასში, ხმოვანი კი ქართულ ენაში ხუთია –

ა, ე, ი, ო, უ.

დამარცვლე მითის ამ ნაწილის თითოეული სიტყვა და სათანადო ადგილი მიუჩინე ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

დავიწყოთ პირველი სიტყვით – ორ-ფევსის. მას სამმარცვლიან სიტყვათა სვეტში ჩავწერთ.

შენი თავი რომ შეამოწმო, წინასწარ გეტყვი, 21 სიტყვიდან 10 სამმარცვლიანია, 2 ხუთმარცვლიანი, ერთი, ორ და ოთხმარცვლიანი სიტყვები კი 3-3–ია.

ერთმარცვლიანი

1 _____
2 _____
3 _____

ორმარცვლიანი

1 _____
2 _____
3 _____

სამმარცვლიანი

1 _____	6 _____
2 _____	7 _____
3 _____	8 _____
4 _____	9 _____
5 _____	10 _____

ოთხმარცვლიანი

1 _____
2 _____
3 _____

ხუთმარცვლიანი

1 _____
2 _____

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3 შეავსე ცარიელი უჯრები



1. რა ერქვა დედოფალს?
2. ვინ მღეროდა სულშიჩამწვდომად?
3. რა ერქვა ქვესკნელის მბრძანებელს?
4. რა ერქვა სამთავიან ძაღლს?

ორფეოსი და ევრიდიკე

(მეშვიდე ნაწილი)

1 ორფეოსის ყველაზე დიდი სურვილი, მისთვის ყველაზე მეტად სანატრელი, სანუკვარი იყო ევრიდიკეს დედამიწაზე დაბრუნება.

შენ თუ გაქვს სანუკვარი ოცნება და რა გსურს ყველაზე მეტად?

2 ჰადესმა ორფეოსს აღუთქვა ანუ ჰადესმა ორფეოსს

ს	ი	ტ				მისცა

ჰადესმა ორფეოსს

პ	ი	რ			ა	მისცა

კიდევ როგორ შეგიძლია იმავე აზრის გადმოცემა?

3 „დედამიწა“ ორი სხვადასხვა სიტყვის შეერთებითაა მიღებული დედა+მიწა. გაიხსენე სხვა სიტყვები, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი „დედა“ იქნება და ასე ჩაწერე:

დედა+კაცი=დედაკაცი

(გაგრძელება იქნება)

გააფორმა თეო მიქელაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცამეტე გოჭი

დედა ღორმა უთხრა გოჭებს, -
ჩხუბს და ჭყვიტინს უნდა მორჩეთ,
თორემ მოვა დიდი მგელი,
ფართხუნა და საძაგელი
როგორც ბაღის საფრთხობელა
და წაგიყვანთ ტყეში ყველას!
გოჭებს ისე შეეშინდათ,
თორმეტივემ ხმა გაკმინდა!
მეცამეტე ნაბოლარამ
დაიყვირა, - არა, არა!
დებო, ძმებო, არ იდარდოთ,
დამაცადეთ, გავიზარდო!
ვივარჯიშებ კარატეში,
გავიჭრები გალმა ტყეში,
იმ ბოროტ მგელს დავამარცხებ,
თვითონ ნახავთ ნაბეგვ-ნაცემს!..
ოღონდ მერე... ჯერ კი არა...
ჯერ მშია და ვარ ჰატარა!..
ჩაიწიეთ ცოტაზე
მეც რომ შემხვდეს ცოტა რძე!

ფათერაკი

ერთი კოვზი დედიკოსთვის,
მამიკოსთვის - კიდევ ერთი,
ის მესამე - ბებუს ხათრით,
მეოთხეზე - არა-მეთქი!
ვთქვი და ბებოც შემოვიდა,
შემომღიმა, -ჩემთვის არა?
რას ვიზამდი, ისე მიეკარს,
ის მეოთხეც შემაჭამა!
თქვენ გგონიათ ამით მოვრჩით? -
სულის მოთქმაც არ მაცალა,
ახლა ნიშა ხარისაო,
ესეც სავსე მთვარისაო,
ღრუბლის ქულა ფთილისაო,
შვიდ მაისის წვიმისაო,
მერე მურა დათვისაო,
ეწვინება არწივსაო,
დაგვავიწყდა წიწილიო,
მეთორმეტეც - მზის წილიო,
ესეც ბოლო, ერთიო,
შეგვეწიოს ღმერთიო!
გამახსენდა ჩემი ბარბი,
მოვიკითხე ფაფის ქვაბი,
გამოვწმინდე ის ქვაბი და,
ბარბის წილიც გამოვიდა!

ინის გასაგონი

(სახუმარო)

ნასამხრეთზე,
ხევთან ახლოს,
ოთხმა ინვმ
მოხნა ახო,
ხოლო ახო
მოხნა როცა,
ხნული კიდეც
გადაფორცხა.

მხატვარი
ნანა სანაია

„დილის" მუზეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დილის" მუზეუმის პირველი დარბაზი ჩვენმა მკითხველმა 1996 წლის მარტ-აპრილის ნომერში დაათვალიერა. გადავიდეთ შემდეგ დარბაზში და შევუდგეთ აქ გამოფენილი მასალების - ექსპონატების დათვალიერებას.

1883 წლის ბოლო. ქართველმა ბავშვებმა ჩინებული საჩუქარი მიიღეს — გამოვიდა „ყრმათა საკითხავი წიგნი" ჟურნალ „ნობათის" სანიმუშო ნომერი. რედაქტორ-გამომცემელი **ანდრია ღულაძე** მიზნად ისახავდა, ეს ჟურნალი „სასარგებლო და ამით საყვარელ საკითხავ წიგნად" ქცეულიყო „ქართველობის იმ ოჯახებში, სადაც თავის მამულის საკეთილდღეო დედაბოძად ზნეობრივი და ბუნებითი აღზრდა აქვთ საშუალებად".



„ერის ერთ თვითარსებობის ელემენტს შეადგენს სამშოლო ენა. ისე ვერ განიმარტება სიტყვა „ერი", რომ უპირველესად არ იხსენიოს: იგი არის კაცთა საზოგადოება, რომელიც ლაპარაკობს ერთ ენაზედ".

„ნობათის" გამოცემის მოთავე იყო ან. ღულაძის თანამშრომელი და თანამზრახველი **იოსებ მრევლიშვილი**. „ნობათის" სანიმუშო ნომერში კი ი.რევიშვილის ფსევდონიმით დაბეჭდილ მის მოთხრობა „კაკანათს" ი. გოგებაშვილი ამ ნომრის „თვალსა, მარგალიტსა" უწოდებდა.

„ნობათის" მოჭირნახულეებს მხარში ამოუდგნენ ცნობილი ქართველი მწერლები და პოეტებიც და ახალგაზრდა კალმოსნებიც.

წამოდექით ყმაწვილებო,
ტანთჩაიცვით საჩქაროზედ,
აბა, თავი შეიყარეთ,
სწავლისათვის, თავის დროზე.

რაფიელ ერისთავი

ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და იამა.

აკაკი

„...ნეტარებით აღსავსე, დაუბრუნებელო, ბედნიერო სიყმაწვილევ! როგორ არ უნდა მიყვარდეს, როგორ არ უნდა ვაფუფუნებდე სიყმაწვილის მოგონებათა! იგინი აყმაწვილებენ. აღამაღლებენ ჩემ სულსა და სიამოვნების უკვდავების წყაროდ ხდებიან ჩემთვის..."

ლევ ტოლსტოი

პაწაწა ვარ, ობოლი,
ბედმა დამიბრიყვა, ცუდ
დროს დავობლდი...

ვაჟა-ფშაველა

***

ქვეყანა საგარჯილოა,
ზარმაცი სათაკილოა,
მისი სიცოცხლე, სიკვდილი
სატირალ-სასაცილოა.

***

ციდან წამოვა ტოროლა,
ჩამოთვლის გალობასაო,
წიგნი, ჭრა-კერვა გცოდნია,
ნეტავ შენს ქალობასაო.

განყოფილებაში „ისტორიული კოკორი" იბეჭდებოდა მოთხრობები საქართველოს წარსულიდან. თქმულება მეფესარდალზე ვახტანგ გორგასალზე ეუბნება მკითხველს, რომ სიმამაცისა და სამშობლოსათვის თავგანწირულების გარდა გორგასალი იმითაც იყო ცნობილი, რომ ინდოეთში ლაშქრობისას იქიდან აბრეშუმის ჭიის თესლი შემოიტანა და ქართველებს აბრეშუმის მოყვანა ასწავლა.

ცნობები ზოოლოგიიდან

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თევზები უტყვნი არიან; არადა, იტალიაში არის თურმე ერთი ჯიშის თევზი, რომელიც ქვირითის ყრის დროს „მუსიკურს ხმებს" გამოსცემს. ამ თევზების მთელი ქარავანი თურმე ერთდროულად ყრის ქვირითს და ამ დროს ისეთი ხმა მოდის წყლიდან, თითქოს გუნდი გალობდეს. ამ თევზს ლათინურად „წყლის სირინოზი" ჰქვია.

ფ.ბ.

სულ წელიწადნახევარი იარსება „ნობათმა". მაგრამ ძალიან, ძალიან ბევრი რამ ასწავლა იმდროინდელ ბავშვებს, ბევრი რამითაც დაინტერესა. მაგალითად, „ნობათში" პირველად გაეცნენ ქართველი ბავშვები დიდ დანიელ მეზღაპრეს ანდერსენს, წაიკითხეს სხვა ქვეყნების გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებებიც. ბევრი შესანიშნავი გამოცანით, შარადით, რებუსით გაილესეს გონება; დაისწავლეს მოკლე ქართულ - რუსულ - ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან, და ბევრი, ბევრი სხვა რამ ...

სტეფანე მხარგრძელი

მანანას მანქანა

ბევრზე ბევრი თოჯინა
აქვს კუდრაჭა მანანას,
მაგრამ ერთხელ სატვირთო
მოუტანეს მანქანა.
- აბა, რა მოვუხერხო,
ნეტავი მაცოდინა,
ალბათ, მოვლა და ზრუნვა
უნდა როგორც თოჯინას.
აბანავა მაშინვე,
გადმოიღო ლოგინი
და საწოლი დაუთმო
თავის კოხტა თოჯინის.
დაამღერა ნანინა,
საწოლში რომ აწვენდა,
დილით გამოღვიძებულს
არც საუზმე აწუენდა.
მაგრამ მანანის ფაფა
ერთი კოვზი იკმარა,
დანარჩენი დატოვა,
ახლოს არ გაიკარა.
უკითხავდა მანანა
ხან ლექსსა და ხან ზღაპარს,
იმ ერთი კოვზის მეტი
მაინც აღარ ჩაელაპა.
- მაშ, რა უნდა მანქანას?
ავად არის, ეტყობა,
ბოლოს, შეატყობინა
კურდღელს - ერთგულ მეგობარს.
და ექიმი კურდღელი
გამოქანდა ქაქანით:
- ნუთუ არვინ არ დადის
ამ სატვირთო მანქანით?
ახე უძრავად ყოფნამ
გული მთლად გაუხერა...
მოსარჩენი წამალი
უმალ გამოუწერა.
ეკითხება მანანა:
- გული სად აქვს ნეტავი?
- როგორ არა, ძრაველა
მისი გული მეფეთქავი.
გასაღებით მოძართე,
უნდა დააბიბინო,
თუ მართლა მანქანაა,
უნდა კიდეც ირბინოს.
ჩასხი შეშა ძარაში -
დათვი, მელა, ზღარბუნა,
თორემ უმოქმედობამ
ძღიერ დააძაბუნა.
გააქროლე აქა-იქ,
ვით ფრინველი ფრთამალი,
მხოლოდ მოძრაობაა
შებარი წამალი.
და მაშინვე მანანამ
ჩართო თავის მანქანა,
ჩასხა თოჯინები და
სწრაფადვე გააქანა.

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

მარიამ სიხარულიძე — ეს სახელი და გვარი ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ გამოჩნდა გაზეთებში. მაშინ, როცა გოგონა ექვსი წლისა იყო. ლექსების წერა კი უფრო ადრე დაიწყო. ხუთი წლისა განცვიფრებული თვალებით შეჰყურებდა გარშემო მყოფთ და კითხულობდა: „რატომ მოკალი ჩიტი, რა დაგიშავა ძია?"

ასაკთან ერთად საფიქრალი და სატკივარი მოემატა მარიამს. მისი ლექსებიც უფრო ღრმა და ბევრის მაქმელი. „დილა" გზას დაულოცავს პატარა პოეტს და წარ-მატებებს უსურვებს.

წვიმა

რა ლამაზად დაიბანა
წვიმამ გრძელი თმები,
რა ლამაზად გაანათა
მზემ მოხნული ველი.
ჩიტმა უცებ გაიმშრალა
კოხტა, სველი ფრთები,
ფისუნიამ გრძელ ულვაშზე
გადაისვა ხელი.
ქუჩის ჰირზე გუბეები
ჰირს აღებენ ხვნეშით,
მზის სხივს თვალებს უხუჭავენ
არ უშვებენ ქვევით.
მზე კი დაბლა მოდიოდა
ღვარებს ხვრეჰდა ჰეშვით,
და ჰირღია გუბეები
სულს ღაფავდნენ კვნესით.

* * *

იქ, დიდ თეთრ ბაღში
ბევრი ბავშვი
დედას დაეძებს,
თვალები
გზისკენ მაცქერალი
ცრემლით ივსება.
ეზოს ხმაური
გააჰობს სივრცეს,
სიცარიელეს
და ოცნებები
ფრთამოტეხილი
ჩიტებივით
დაბლა ეცემა.

შემოდგომა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

შემოდგომის
შეიკერავს ცა
და მეწამულ ხალიჩაზე
გაოცდება ზღვა.
გაფრინდება წეროს გუნდი,
თავს დაიბანს ტბა.
მზე აიკრეფს მწვავე სხივებს,
გაუქვეცა გზას,
ნიავს ფრთები გაუშლია
გულს უგრილებს მთას.
ულვაშაშლილ ყანის ბოლოს
ნისლს დაუდგამს ზღვა,
ორღობეში ურმის ჭრიალს
ეურს არ უგდებს ცა.
ღრუბელს ზეცა დაუხატავს,
თავს ეხვევა მთას,
გაფრენილი წეროს გუნდი
სევდის გუბეს ჰგავს.

ნუ მომატყუებთ!

ნუ მომატყუებთ,
ჯობია, რომ სიმართლე მითხრათ,
თორემ ტყუილი ფარდას კერავს
მე და თქვენს შორის.
და თუ ფარდაზე დაიხატა შავი ლაქები,
ვეღარ ამოშლის თვით სიმართლის
დიდი თვალები.

წერილი რედაქციას

საყვარელო „დილა“!

ხშირად ფერად-ფერად სიზმრებს ვხედავ. ჩემს მეგობრებს უკვირთ, სიზმარში ფერები ვის გაუგია. არ სჯერათ, მაგრამ სიზმარში ცა უფრო ლურჯია, ვიდრე სინამდვილეში, ბალახიც უფრო მწვანეა, ყვავილებს კი სუნი აქვთ. ჩემი სიზმრები ჩემი საყვარელი ჟურნალის ფურცლებს ჰგავს. მადლობას გიხდით, ახალ „დილას“ რომ მომიტანს დედა, იმ დამეს უფრო ლამაზ სიზმარს ვხედავ ხოლმე.

თათია ლორთქიფანიძე
51-ე საშუალო სკოლის
V კლასის მოსწავლე

გამარჯობა!

ჩვენ ძალიან გვიყვარს თქვენი ჟურნალი. ხშირად ერთად ვკითხულობთ კლასში. „ზდაპარეორდი“ ერთად ამოვხსენით, ახალ ლექსებსაც თქვენი ჟურნალიდან ვსწავლობთ. ძალიან მოგვწონს მოთხრობებიც. წაკითხვის დროს ხანდახან ჩხუბი მოგვდიოდა, მაგრამ ახლა მორიგეობა გვაქვს. ველოდებით ახალ „დილას“.

გორის №2-7 სკოლის
IV კლასის მოსწავლეები

გამარჯობა დიდო დეიდა!

მე ძალიან მიყვარს „დილა“. მოუთმენლად ველი, როდის გამომიგზავნის ნანი დეიდა თბილისიდან. შემდეგ სკოლაში მიმაქვს და მასწავლებელი კლასში გვიკითხავს. გმადლობთ დაბადების დღის მოლოცვისა და ჩემი დედიკოს ლექსების დაბეჭდვისთვის. იცით, ლექსებს მეც ვწერ. გიგზავნით ერთ მათგანს:

ატალახდა სკოლის ეზო,
რადგან ხშირად მოდის
წვიმა.
მე ყველაფერს მირჩევნია,
იყოს თოვლი, იყოს ყინვა.

ლელა ფიფია
ობუჯის საშუალო სკოლის
III კლასის მოსწავლე
წალენჯიხა

გამარჯობა „დილა“! მე **თინათინ თუალაგაძე** ვარ, მე-4 კლასის მოსწავლე. ჩემს დას კი თამთა ჰქვია. ის მეორე კლასშია. ჩემზე პატარაა და ამიტომ წერილს მე ვწერ. თამთა გვერდით მიზის და მემუქრება, რომ გავიზრდები, მე მარტო მივწერ „დილას“ წერილსო. ჩვენ იმერეთში ვცხოვრობთ, სოფელ კვახჭირში. ცეკვაზეც დავდივართ, სიმღერაზეც და ჭადრაკზეც. ყველა „დილას“ ვკითხულობთ. თამთას მე ვუკითხავ ხოლმე. ყველაზე ძალიან ლექსები გვიყვარს. კროსვორდებსაც ერთად ვავსებთ. ეს კროსვორდი მე და თამთამ შევადგინეთ, ცოტა დედიკოც მოგვეხმარა. თუ მოგვწონათ, კიდევ გამოგიგზავნით. ძალიან გვიყვარხართ ყველა, ვინც ჩვენთვის ამ ლამაზ ჟურნალს ამზადებთ.



გილოცავთ

ჰორიზონტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მორიელი
24 . X - 22 . XI

მორიელის ნიშნით დაბადებული ბავშვის მშობლებს შეუძლიათ იამაყონ, ეს პატარები ხომ დაბადებიდან ძლიერები და მკვრივები არიან. ბუნებამ ისინი მებრძოლი ხასიათით დააჯილდოვა. დაუკვირდით, როგორ იდგამენ ფეხს —ერთხელ წაიქცა? მერე რა მოხდა, არც ტირის, არც უფროსებს უხმობს საშველად— თავადვე ცდილობს წამოდგეს და გზა გააგრძელოს. არც თანატოლებთან წაკინკლავებისას მოუხმობს მშობლებს. მოკლედ, ყველა ცხოვრებისეული სიძნელის გადალახვას თავადვე ცდილობს.

დამადგმის დღეს

ბავშვებისათვის

ანა ამირხანაშვილი, თიკა პავლიაშვილი,
ენვერ ლილუაშვილი, თეონა ქოჩორაშვილი,
ილია ალხაზიშვილი, მარიკა დუიშვილი,
ნურიკო შარაშიძე, ეკა ვათიაშვილი,
ჯეკო უგულავა, გიორგი იმნაძე
მარიამ შავკანი
ეკა კალანდაძე
სოფო ბეგაური
თიკო ჯაყელი
მიშიკო ჯოხიძე

მშვილდოსანი
23 XI - 21 XII

პატარა მშვილდოსნებს სულ ხალხში ყოფნა უნდათ. ისინი ვერ იტანენ მარტოობას, ოჯახში სტუმრის მოსვლაც ყველაზე მეტად მათ უხარიათ. თუ ხალხმრავლობა სხვა ბავშვებს აფრთხობს, მათ პირიქით, აწყნარებს და ამხიარულებს.

მშვილდოსანი-ბავშვები ცოტა მოუხერხებლებიც არიან, უფროსებს ერთთავად ფეხებში ებლანდებიან, მაგრამ ამისთვის ნუ გაკიცხავთ, რა მათი ბრალია, თუკი განმარტოებით ჯდომა არ შეუძლიათ.

ამ ნიშნით დაბადებულნი საოცრად ცნობისმოყვარენი არიან. რატომ? როგორ? რა? სად? — ამ კითხვებით ყველას თავს აბეზრებენ. ყოველ ცისმარე დღეს შეკითხვებით იწყებენ და ღამითაც, თბილ ლოგინში მოკალათებულები, მანამდე გისვამენ კითხვებს, სანამ ძილი თავისას არ გაიტანს.

სულ პატარაობიდან მშვილდოსნები სასოწარკვეთილი სიყვარულის მსხვერპლი ხდებიან - „ის“ შეიძლება მეზობლად მცხოვრები თანატოლი იყოს, ან ბაღის მეგობარი... მათი „სიყვარული“ ხანგრძლივი არ არის, ობიექტი ხშირად იცვლება, მაგრამ, მშვილდოსნები მაინც ყოველთვის შეყვარებულები არიან, თანაც, თავდავიწყებით.

მშვილდოსან ბავშვებს ძალიან უყვართ სწავლა. მათი განვითარებული გონება და უდიდესი ცნობისმოყვარეობა სწავლას სახალისო გასართობად აქცევს. ხელი შეიძლება მხოლოდ მოუსვენრობამ და მოუთმენლობამ შეუშალოთ.

ამ ნიშნით დაბადებული ბავშვები ენერგიის დიდ მარაგს ფლობენ, ამიტომ საჭიროა სხვებზე მეტად დაიტვირთონ ფიზიკურად და ინტელექტუალურად.

მშობლებს ვურჩევთ ნუ ეცდებიან ბავშვის მაგივრად აირჩიონ მისი მომავალი პროფესია, ნურც თავიანთ აზრებს მოახვევენ თავს. მშვილდოსნები ძლიერი ხასიათის, გამბედაობისა და ნათელი გონების წყალობით დიდ წარმატებებს მიაღწევენ.

თ. შიქაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამლაყინწა ბანცალა

ბებომ მომცა ბატიბუტი
ბეკო მომდევს ბაკიბუკით,
მამლაყინწა ბანცალამ
ჭამა არ დამაცალა,
დამიბნია ბატიბუტი
შემიჭამა კნატიკნუტით,
დაიბერა ჩიჩახვი
სულ ყიყლიყოს იძახის.



მაკას მცველი

შალვა გუნდებს აგროვებს
აგერ მოდის მაკაც,
თან მზე არის, თანაც ბარდნის,
ისე როგორც ზღაპრად.
აი, უკვე ახლოს არის,
თვალებს ჭუტავს შალვა,
რამდენიც კი დაუმიზნა
ყველა გუნდა დაფხა.
მაკა უცებ გაამაყდა,
ვერ მაშინებს ვერვინ,
აბა, ერთი შემომბედეთ
მზეა ჩემი მცველი.

თამარ ფხაკაძე

***

ყიყინებდა ბაყაყი:
უნდა გითხრათ სწორიო,
მშვენიერი რამეა
ეს ჰატარა ტორიო.
სკამებად მაქვს ლოდები,
საწოლადაც - ტორიო,
მზე დაგვნათის, ნაპირზე
ხე დგას ორად ორიო,
წყალში ტაპანს მოვადენ,
თუ გამოჩნდა ქორიო.
გუშინ დათვმა ჩვენს ტბორში
დაიბანა ტორიო.
თაფლი მიურთმევია,
არ გეგონოთ ჭორიო.

ოდენიკოს ბურთი

ანტა, დახტა ჩემი ბურთი,
აგერ, უკვე სად არის!
სულ ეზოში უნდა ეოფნა,
დარია თუ ავდარი.
ჩემი ბურთი ეზოშია,
მე შინ ხომ არ ვიჯდები?!
გავიქეცი, მეძახიან,
ჩემი ეზოს ბიჭები...

მხატვარი კობა აბულაძე

მაინც ოჯახია თქვენი ოჯახია

ვასილ გულეური

ფისო დადგამს სამოვარს

ელექტრონული ბიბლიოთეკა

აკაკანდა ქათამი,
მთელი ეზო შეეარა.

კვერცხი დადო, - ჰგონია,
იმისია ქვეყანა.

ფისო მზეზე თბება და
ამბობს: - რა ქნა იმდენი?

მაშინ რაღას იზამდა,
რომ დაედო „კინდერი“?

მზე როდესაც ამოვა,
ფისო დადგამს სამოვარს,
მერე ქადებს დაატხობს
და მაგიდას გააწყობს.
დაუძახებს კატუნებს,
კუდფუმფულებს, ხატულებს...
ჩაითა და ქადებით
საუზმობენ კატები.

მისარითმი

მამუკა სალუქვაძე

***

ქართველ კაცზე უკეთ, ალბათ,
არვინ იცის მისი ფასი,
ნაეოფს ეურძენს ეძახიან,
მცენარეს კი ჰქვია ....

***

ეველა მნახველს, როგორც წესი,
სილამაზე ხიბლავს მისი,
საქართველოს უძველესი,
ქალაქია .....

***

ფეხს დაიდგამს ენაზე,
რომ აცინოს დარბაზი,
ცირკის მრგვალ არენაზე,
ოინბაზობს .....

გამოცანები

გიორგი წერეთელი

წინ და უკან კარები,
წყაროდ ნაანკარები
ხიბრძნე არის შიგნით,
თქვი, რა ჰქვია?
- წ....

აღარ არის, დაკარგულა
ერთი ბატი თავკანტურა,
ვეძიეთ და ვერ ვიპოვნეთ,
წაიყვანა ალბათ .....

მამუკა ფილიშვილი

ტანი რომ ზებრას მიგიგავს,
რამ მოგიყვანა - აქ, ამ დროს?
- ბავშვებთან მინდა თამაში,
ამბობს ხუმრობით .....

ბავშვები, ნახე, ხან აქეთ,
ხანაც იქითკენ მიჰქრიან,
დღეს მათთან სტუმრად მოსულა
ტყიდან ჰატარა .....

მხატვარი: ბიორბი ჩაჩანიძე

ჩხირკედელას საახალწლო ნაძვები და საჩუქრები

ნელი ოძროპირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატმა რკოს კაცუნამ საახალწლოდ პატარა, სამაგიდო „ნაძვის ხეები" გააკეთა. ასეთი ნაძვებით მორთო საახალწლო სუფრა და თავისი მეგობრები მიიპატიჟა, ვაშლისაგან გაკეთებული ნაძვის ხე ყველას სათითაოდ წინ დაუდგა. როდესაც საათის ისარი თორმეტს მიუახლოვდება, შუქს ჩააქრობენ და იმპროვიზირებულ ნაძვის ხეებში ჩამაგრებულ სანთლებს აანთებენ.

ბავშვებო, თქვენც გააკეთეთ ასეთი პატარა ნაძვები და თქვენი მეგობრები ასიამოვნეთ. კარგად დააკვირდით თითოეულ მათგანს. შეარჩიეთ ისეთი ვაშლი, რომელიც სიბრტყეზე კარგად დგას, შემდეგ ფერადი ქაღალდისგან გამოჭერით პატარა ყვავილების გვირგვინი, წვრილი მავთულების ყუნწები გაუკეთეთ ისე, როგორც ნახატზეა

მოცემული და ვაშლში ჩაამაგრეთ. ვაშლის ყუნწის ადგილას პატარა სანთელი ჩადგით,შეაგროვეთ ნაძვის ხის მწვანე ტოტები და ვაშლში ჩაარჭეთ, მიიღებთ ასეთ პატარა, ორიგინალურ ნაძვს, როგორიც ჩხირკედელამ გააკეთა.

მაუდისაგან შეკერეთ ფაჩუჩი. გამოჭერით ნახატის მიხედვით ორი ერთნაირი თარგი, პეტლური შტრიხით ერთიმეორეს მიაკერეთ, გაუკეთეთ საკიდებელი და კედელზე ჩამოკიდეთ. შეგიძლით ფაჩუჩი ტკბილეულითა და საჩუქრებითაც გაავსოთ.

გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს!

რკოს კაცუნამ თავისი მეგობრები საახალწლო ნაძვის ხეზე მიინვია.თან ყველას საჩუქრები მოუმზადა: სტაფილო, ვაშლი, ტკბილი ალუბალი, გემრიელი ძვალი, ჭია, ყველის ნაჭერი, თხილი, კათხა თაფლი.

ბავშვებო, გამოიცანით ვის როძელი საჩუქარი გაეხარდება.

მთავარი რედაქტორი **დოდო წივწივაძე**

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, ნანი კაკაჩია, მაგდა კვაჭანტირაძე, თამარ ნინიკაშვილი, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30

გამოდის 1904 წლიდან

დაიბეჭდა ფირმა „ტასტრის“ მიერ თბილისში, ასკოლდიანის ქ. №4.

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი

ხელმომწერთათვის 2 ლარი